ISSN 0206-2828 3-4, 2011

ეკონომიკა



918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი
«ЭКОНОМИКА» – Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
"ECONOMICS " – Monthly International reviewed
and refereed scientific journal

N 3 - 4

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; თ. დოლიაშვილი; გ. თოდუა; მ. კაკულია; დ. კარბონი **(იტალია);** პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი **(აშშ);** უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ო. სოლდატენკო **(უკრაინა);** მ. ტურავა; ტ. ფედოროვა **(რუსეთი);** დ. ქავთარაძე **(რუსეთი);** რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა, მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе Р.. Долиашвили Т., Кавтарадзе Д. **(Россия),** Какулия М., Карбон Д. **(Италия),** Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. **(США)** Силагадзе А., Сольдатенко О. **(Украина);** Самадашвили У., Тодуа Г., Турава М., Федорова Т. **(Россия),** Чикава Л., Читинава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; T. DOLIASHVILI; G. TODUA; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); M. TURAVA; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE

თბილისი - 2011

გლობალური ეკონომიკური კრიზისის საფრთხის ეკონომიკის ზომბირების პრობლემები

პარმენ ლეემონჯავა
ემდ. სტუ პროფესორი

ყველასათვის ცნობილია, რომ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი, პროფესორი **ვლადიმერ (ლადო) პაპავა** არის ეკონომიკის მრავალ პრობლემისადმი მიძღვნილი კაპიტალური ნაშრომების ავტორი, რომელთა ნაწილი კარგად არის ცნობილი როგორც ქართველი, ისე უცხოელ ავტორებისათვისაც.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ლადო პაპავას ეკონომიკურ პრობლემებზე მიძღვნილ ნაშრომთა დიდი ნაწილი თუ თარგმნილი და გამოცემული იქნება უცხო ენებზე, ის უფრო მყარად და მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების გვერდით.

რაც შეეხება პროფესორ ლადო პაპავას მიერ ბოლო პერიოდში გამოცემულ ნაშრომებს, როგორიც არის „ნეკროეკონომიკის თეორია" (2000) და ახლახანს გამოცემულ წიგნს „ნეკროეკონომიკის ზომბირება" (2010),[1] ისინი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება აღინიშნოს, რომ მთელი თავიანთი შინაარსით და განხილული საკითხებით არის ახალი ორიგინალური სიტყვა ეკონომიკურ მეცნიერებაში.

აღნიშნულ ნაშრომებში ყველა კაპიტალურად და ორიგინალურად ფორმირებული საკითხები განხილულია ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და წარმოდგენილია მაღალ პრაქტიკულ და თეორიულ-მეცნიერულ დონეზე.

---

1 **ვლადიმერ (ლადო) პაპავა**. ნეკროეკონომიკის ზომბირება. (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-ობა, 2010, 142 გვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაშრომის „ნეკროეკონომიკის ზომბირება" (2010) წიგნის მეცნიერულ ფასეულობაზე. ამ ნაშრომში ყველა საკითხი გაშუქებულია ავტორისათვის დამახასიათებელი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული წიგნის „ნეკროეკონომიკის ზომბირება" მაღალი მეცნიერული შეფასების საფუძველს იძლევა მისი პრობლემატური ტექსტი და საკითხთა განხილვის მეცნიერული დონე.

- ვინც ნაშრომს „ნეკროეკონომიკის ზომბირება" ხელში აიღებს და გადაფურცლავს, მისი ორიგინალური და მასში განსახილველ საკითხთა ჩამოყალიბებული სათაურების კაპიტალურობა და ორიგინალურობა, როგორც ჩვენი, ასევე უცხოელ სპეციალისტ მკითხველსა და ფართო წრეს აღუძრავს მის თავიდან ბოლომდე წაკითხვისა და შემეცნების სურვილს;

- ნაშრომი მიზნად ისახავს თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის განმაპირობებელ ცალკეული ფაქტორების ავტორისეულ ორიგინალურ გააზრებას და ამ კრიზისის ყველაზე დიდი საფრთხის – ეკონომიკის ზომბირების შესწავლას;

- ნაშრომი იმსახურებს მაღალ მეცნიერულ შეფასებას, რადგან მასში მეცნიერული დამაჯერებლობით არის დასაბუთებული,რომ ნეკროეკონომიკის დიდი საფრთხე – თანაბრად ემუქრება, როგორც დაბალგანვითარების, ისე მაღალგანვითარების ეკონომიკის მქონე ქვეყნებს;

- ნაშრომში ეკონომიკური თეორიის კლასიკური მიმართულებათა გვერდით, გაანალიზებულია „ნეკროეკონომიკისა" და „ზომბიეკონომიკის" ეკონომიკაში ერთობლივად ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები,მოცემულია კვლევის ორიგინალური მეთოდი და ჩამოყალიბებულია ავტორისეული ახალი ეკონომიკური თეორია;

- ნიშანდობლივია, რომ ნაშრომში მეცნიერული კვლევის სიღრმით გაშუქებულია და გამოვლენილია „ნეკროეკონომიკის", მისი ნაირსახეობის „ზომბიეკონომიკის", ,ზომბიფირმების",,,ზომბიბანკების",,,ნეკროეკონომიკისა" და „ვიტაეკონომიკის" ჯგუფების არსი და გაანალიზებულია „ნეკროეკონომიკისა" და „ზომბიეკონომიკის" მსგავსება – განსხვავების საკითხები;

- ნაშრომის განსაკუთრებით დიდ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მასში გლობალურ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით „ნეკროეკონომიკის" საკითხები განხილულია შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის ყველა – 12 ქვეყნის ეკონომიკის განვითარების რეალობის გაანალიზების საფუძველზე, რაც არც ისე

ადვილია და კოლოსალურ შრომას მოითხოვს.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი,სხვა როგორც ქართველი ისე უცხოელი ავტორებისაგან განსხვავებით სწორად და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ პოსტსაბჭოური სივრცის „აუტსაიდერი" ქვეყნებისათვის ტრანსფორმაციის პერიოდი დამთავრებულია და მათში ჩამოყალიბებულია „ახალი ტიპის კაპიტალისტური ეკონომიკა", რომლისთვისაც დამახასიათებელია „მკვდარი ეკონომიკა", რაშიც სავსებით ვეთანხმები მას.

ავტორი ნაშრომში ბრწყინვალედ აწვდის მკითხველს იაპონურ მეურნეობაში „ზომბიფირმების" ფუნქციონირების გამოცდილების შედეგებს XX საუკუნის 90-იან წლებიდან დღემდე, რომლის საფუძველს წარმოადგენს გადახდაუუნარო-გაკოტრებული ფირმების არსებობა, რომლებსაც „ზომბფირმებს" უწოდებენ. ამ „ზომბიფირმების" დაკრედიტებას აწარმოებენ გაკოტრებული „ზომბიბანკები", რომლებსაც გვერდში უდგას მთავრობა სახელმწიფო გარანტიებით.

ჩემი აზრით, ავტორი სწორად და დამაჯერებლად აღნიშნავს, რომ „ნეკროეკონომიკის" ფუნქციონირების ნეგატიური შედეგები მკაფიოდ გამოხატულია დღეს პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში და არის ნიშნები უფრო მწვავედ გამოვლინდეს მომავალში მათ ეკონომიკაში.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სწორად მიუთითებს, რომ ასეთი „ზომბიფირმების", „ზომბიბანკებისა" და მთავრობის დაფინანსების უზრუნველყოფით ერთობლივი ქმედების შედეგად ყალიბდება „ზომბი-ეკონომიკა".

ნაშრომის ასევე დიდ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მასში მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით საკითხები გაანალიზებულია დაბალგანვითარების ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან ერთად მაღალგანვითარებული ქვეყნების – საბერძნეთისა და თურქეთის ეკონომიკა და დასაბუთებულია, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკაზე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა განსხვავებულია მათთან საბაზრო ურთიერთობის განვითარების დონიდან გამომდინარე.

წიგნში ხაზგასმით ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ეტაპზე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის მეორე და მესამე ეტაპის დადგომის შესაძლებლობაზე.

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ფაქტორების შესახებ ეკონომისტთა ორი მოსაზრება, კერძოდ, საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოებაზე, რომლის საფუძველს წარმოადგენს ფიდუციალური ფული, რომლის

უკან მხოლოდ ნდობაა და სხვა არაფერი და ვალების ჭარბწარმოებაზე, რომელსაც „საკრედიტო კრიზისს" უწოდებენ. ჩემი აზრით, ავტორი, როგორც წესი, საფუძვლიანად მიიჩნევს ორივე ფაქტორის არსებობას, რაც სავსებით სწორია.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანტიკრიზისული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელების პრობლემას.

ზემოთ აღნიშნული მომენტებისა და შეფასებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ **ლადო პაპავას ნაშრომი „ნეკროეკონომიკის ზომბირება"** წარმოადგენს გლობალურ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული პრობლემების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შექმნილ კაპიტალურ ნაშრომს, რომელშიც შემოქმედებითად არის გამოყენებული ქართველი თუ უცხოელი ავტორების მრავალი ნაშრომი.

მართალია ნაშრომის ნაწილი, როგორც ავტორი იუწყება უკვე ცნობილია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, მაგრამ მისი შევსებული და გადამუშავებული სრული ტექსტი თუ მიეწოდება რომელიმე უცხო ენაზე მკითხველებს, კარგი საქმე იქნება.